შესავალი

ქალაქ თბილისში ადგილობრივი თვითმმართველობა ხორციელდება წარმომადგენლობითი ორგანოს - თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს და აღმასრულებელ ორგანოთა სისტემის - თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მეშვეობით.

თბილისის საკრებულო არის თვითმმართველობის წარმომადგენლობითი კოლეგიური ადმინისტრაციული ორგანო, რომელიც

შედგება 50 წევრისაგან. აქედან 25 წევრი აირჩევა ადგილობრივი ერთმანდატიანი მაჟორიტარული საარჩევნო ოლქებიდან, ხოლო 25 - პროპორციული წესით თბილისის მთელ ტერიტორიაზე.

თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში ფუნქციონირებს 11 მუდმივმოქმედი კომისია:

- სარევიზიო.
- ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა.
- ,იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის.
- განათლებისა და კულტურის.
- ურბანული დაგეგმარების და საქალაქო მეურნეობის.
- სატრანსპორტო საკითხთა.
- გარემოს დაცვის.
- სახელდებისა და სიმბოლიკის.
- სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა.
- ეკონომიკური განვითარების საინვესტიციო პოლიტიკისა და საერთაშორისო. ურთიერთობების, ქონების მართვისა და საფინანსო საბიუჯეტო.

შესავალი 1
სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის შესახებ 3
კომისიის სხდომების, საკითხების საჯაროდ განხილვების და განხორციელებული სახელდებების შესახებ 4
კომისიის საქმიანობა ახალი კორონავირუსის ფონზე არსებული რეგულაციების პირობებში 10
ოფიციალური შეხვედრების შესახებ 11
მოქალაქეებთან შეხვედრების შესახებ 12
მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები 13
ჩატარებული ღონისძიებების შესახებ 14
სამისამართე აბრების განთავსების პროცესის მიმდინარეობა 19

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ შესაბამისად მუნიციპალიტეტის საკუთარ უფლებამოსილებებს მათ შორის განეკუთვნება მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებული გეოგრაფიული ობიექტების სახელდება. ამავე კოდექსის მიხედვით გეოგრაფიული ობიექტების სახელდებას და მუნიციპალიტეტის სიმბოლოების დადგენას ახორციელებს მუნიციპალიტეტის საკრებულო.

გეოგრაფიული ობიექტების სახელდების, თბილისის დროშის, გერბის და სხვა სიმბოლოების დადგენის მიზნით თბილისის საკრებულოში შექმნილია სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია.

კომისიამ, როგორც დროებითმა სამუშაო ჯგუფმა საკრებულოში ფუნქციონირება 2006 წელს დაიწყო. სამუშაოების მოცულობის და მზარდი მომართვიანობის გათვალისწინებით 2010 წელს მიღებული იქნა გადაწყვეტილება მის მუდმივმოქმედ კომისიად ჩამოყალიბების თაობაზე. 2010 წლიდან დღემდე კომისიამ 5000 ზე მეტი წერილობითი განცხადება განიხილა, რომელთა უმრავლესობა ერთობლივი ხასიათის იყო და არაერთი მოქალაქე აწერდა ხელს.

კომისიის სხდომების, საკითხების საჯაროდ განხილვების და განხორციელებული სახელდებების შესახებ

საზოგადოებისთვის ცნობილია, რომ მიმდინარე საანგარიშო პერიოდს დაემთხვა მსოფლიოში ახალი კორონავირუსის გავრცელება, რამაც არსებითად შეცვალა მსოფლიოს დღის წესრიგი. ხსენებული აისახა სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის მუშაობაზეც. საგანგებო მდგომარეობის პირობებში სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია იყო ერთ-ერთი პირველი, ვინც საჯარო განხილვების პროცედურები დისტანციურად, ონლაინ სისტემით ჩაატარა. არსებული შეფერხებების მიუხედავად კომისიამ მოახერხა ახალ რეჟიმთან მოკლე პერიოდში ადაპთაცია.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ჩატარდა სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის 11 სხდომა საიდანაც 1 გაერთიანებულ, ხოლო 4 საჯარო განხილვა.

2019 წლის ნოემბრიდან 2020 წლის ოქტომბრის ჩათვლით სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის მიერ განხილული საკითხებიდან განხორციელდა 47 გეოგრაფიული ობიექტის სახელდება:

1. ქალაქ თბილისში, ნაძალადევის რაიონში, გია რომელაშვილის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის აფხაზეთის ომში დაღუპული მებრძოლის გიორგი ბოთერაშვილის სახელის მინიჭების შესახებ

2. ქალაქ თბილისში, გლდანის რაიონში, ხევისპირის ქუჩის მონაკვეთისთვის და მასთან არსებული უსახელო ჩიხისთვის ბერთუბნის სახელის მინიჭების შესახებ

3. ქალაქ თბილისში, კრწანისის რაიონში, ვახტანგ გორგასლის ქუჩის შესახვევთან მდებარე უსახელო სპორტული მოედნისთვის აფხაზეთის ომში დაღუპული მებრძოლის პეტრე გამჯაშვილის სახელის მინიჭების შესახებ

4. ქალაქ თბილისში, საბურთალოს რაიონში, თამაზ ძიძიგურის ქუჩასთან მდებარე უსახელო ჩიხისთვის თამაზ ძიძიგურის I ჩიხის სახელის მინიჭების შესახებ

5. ქალაქ თბილისში, მთაწმინდის რაიონში, ოქროყანაში, ციურიხის ქუჩის, მასთან არსებული I ჩიხის და I შესახვევის სახელდების შესახებ

6. ქალაქ თბილისში, გლდანის რაიონში, ალექსანდრე მანაგაძის IV ჩიხის მიმდებარედ არსებული უსახელო სკვერისთვის აფხაზეთის ომში დაღუპული მებრძოლის ბახვა გოგოლაძის სახელის მინიჭების შესახებ

7. ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში, ნუშის ბაღების ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის და მასთან არსებული ერთი შესახვევისთვის ექიმის, საზოგადო მოღვაწის თენგიზ გაზდელიანის სახელის მინიჭების შესახებ

8. ქალაქ თბილისში, მთაწმინდის რაიონში, ტაბახმელაში, ტაბახმელას ველის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის და მასთან არსებული ორი

შესახვევისთვის იუნკერის ნიკოლოზ კალანდარიშვილის სახელის მინიჭების შესახებ

9. ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, იოთამ ზედგინიძის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის და მასთან არსებული ორი შესახვევისთვის ქორეოგრაფის დავით ჯავრიშვილის სახელის მინიჭების შესახებ

10. ქალაქ თბილისში, სოფელ გლდანში, წყაროს ქუჩასთან მდებარე უსახელო შესახვევისთვის წყაროს I შესახვევის სახელის მინიჭების შესახებ

11. ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში, ციხისძირის ქუჩის მონაკვთისთვის, ციხისძირის V გასასვლელისთვის და დიდგორის II ჩიხისთვის ცხინვალის რეგიონში საომარი მოქმედებების დროს დაღუპული მებრძოლის ზაურ მახარაშვილის სახელის მინიჭების შესახებ

12. ქალაქ თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, კოტე ხიმშიაშვილის ქუჩისთვის დოდო და კოტე ხიმშიაშვილების სახელის მინიჭების შესახებ

13. ქალაქ თბილისში, ნაძალადევის რაიონში, მამუკა ბეინაშვილის ქუჩის გაგრძლების შესახებ

14. ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, ივანე იუმაშევის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის და მასთან არსებული უსახელო შესახვევისთვის აფხაზეთის ომში დაღუპული მებრძოლის გიორგი თარხნიშვილის სახელის მინიჭების შესახებ

15. ქალაქ თბილისში, კრწანისის რაიონში, რუსთავის გზატკეცილის გაგრძელების შესახებ

16. ქალაქ თბილისში, ნაძალადევის რაიონში, გიორგი ჭყონდიდელის ქუჩასთან მდებარე უსახელო ჩიხისთვის გიორგი ჭყონდიდელის I ჩიხის სახელის მინიჭების შესახებ

17. ქალაქ თბილისში, გლდანის რაიონში, რეზო გაბაშვილის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის და მასთან არსებული უსახელო შესახვევისთვის სერგი გორგაძის სახელის მინიჭების შესახებ;

18. ქალაქ თბილისში, საბურთალოს რაიონში, ბახტრიონის ქუჩასთან მდებარე უსახელო სკვერისთვის საზოგადო მოღვაწის მერაბ ელიოზიშვილის სახელის მინიჭების შესახებ;

19. ქალაქ თბილისში, ნაძალადევის რაიონში, ცოტნე დადიანის ქუჩასთან მდებარე უსახელო სკვერისთვის აფხაზეთის ომში დაღუპული მებრძოლები ვასიკო და ნუკრი წიკლაურების სახელის მინიჭების შესახებ;

20. ქალაქ თბილისში, გლდანის რაიონში, ნოდარ დუმბაძის გამზირთან მდებარე უსახელო სკვერისთვის პოეტის, ნინო ნეკერიშვილის სახელის მინიჭების შესახებ

21. ქალაქ თბილისში, საბურთალოს რაიონში, ძველი ვეძისის დასახლებაში, ძველი ვეძისის ქუჩის გაგრძელების და მასთან არსებული ორი უსახელო გასასვლელისთვის ძველი ვეძისის სახელის მინიჭების შესახებ;

22. ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში, კვესეთში, ბეთანიის მონასტრის ქუჩის III შესახვევის გაგრძელების შესახებ;

23. ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში, თხინვალაში, იოსებ კეჭაყმაძის ქუჩასთან არსებული ორი უსახელო ჩიხისთვის იოსებ კეჭაყმაძის სახელის მინიჭების შესახებ;

24. ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში, შალვა მშველიძის I ჩიხისთვის ქისის ქუჩის სახელის მინიჭების შესახებ;

25. ქალაქ თბილისში, ნაძალადევის რაიონში, ჩარგლის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის ყაზახი განმანათლებლის, აბაის სახელის მინიჭების შესახებ;

26. ქალაქ თბილისშ, ვაკის რაიონში, წყნეთში, იოსებ გრიშაშვილის ქუჩასთან მდებარე უსახელო სკვერისთვის აფხაზეთის საომარი მოქმედებების დროს დაღუპული მებრძოლის მიხეილ ოძელაშვილის სახელის მინიჭების შესახებ;

27. ქალაქ თბილისში, საბურთალოს რაიონში, თბილისის ზოოლოგიური პარკის მიმდებარედ არსებული ისტორიულად ჩამოყალიბებული უბნისთვის ხილიანის სახელის მინიჭების შესახებ;

28. ქალაქ თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, ბოდავის I ქუჩის მონაკვეთისთვის მხატვრის, იოსებ(სოსო) გაბაშვილის სახელის მინიჭების შესახებ;

29. ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში, მამია გურიელის ქუჩის სახელდების შესახებ;

30. ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, ნიკოლოზ ლანდიას ქუჩისთვის საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის საომარ მოქმედებებში დაღუპული მებრძოლების ვახტანგ და ბადრი გზირიშვილების სახელის მინიჭების შესახებ;

31. ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, სესილია თაყაიშვილის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის ქიმიკოსის, აკადემიკოს ნიკოლოზ ლანდიას სახელის მინიჭების შესახებ;

32. ქალაქ თბილისში, საბურთალოს რაიონში, ჩუღურეთის რაიონში, დავით აღმაშენებლის გამზირზე მდებარე არტოს ბაღისთვის კომპოზიტორის, საზოგადო მოღვაწის გია ყანჩელის სახელის მინიჭების შესახებ

33. ქალაქ თბილისში, საბურთალოს რაიონში, ვაჟა-ფშაველას გამზირთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის აფხაზეთის ომში დაღუპული მებრძოლის ბექა ფილფანის სახელის მინიჭების შესახებ

34. ქალაქ თბილისში, საბურთალოს რაიონში, ვაჟა-ფშაველას გამზირთან არსებული უსახელო სკვერისთვის აფხაზეთის ომში დაღუპული მებრძოლის ბექა ფილფანის სახელის მინიჭების შესახებ

35. ქალაქ თბილისში, მთაწმინდის რაიონში, წავკისში, რუსთაველის ქუჩისთვის, მასთან არსებული ორი შესახვევისთვის და ხუთი ჩიხისთვის შოთა რუსთაველის სახელის მინიჭების შესახებ

36. ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში, მესხეთის ქუჩის მონაკვეთისთვის, ნავთლუღის დასახლების VIII ქუჩის მონაკვეთისთვის, ოთხი შესახვევისთვის და ერთი ჩიხისთვის არქიტექტორის სვიმონ კლდიაშვილის სახელის მინიჭების შესახებ

37. ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში, ნავთლუღის დასახლების II შესახვევის მონაკვეთისთვის მხატვრის ნათელა იანქოშვილის ქუჩის სახელის მინიჭების შესახებ

38. ქალაქ თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, ჯუმბერ ბეთაშვილის I გასასვლელისთვის 9 აპრილს ტრაგიკულად დაღუპული თამუნა დოლიძის ქუჩის სახელის მინიჭების შესახებ

39. ქალაქ თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, თამუნა დოლიძის ქუჩისთვის რეხის სახელის მინიჭების შესახებ

40. ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში, ციხისძირის I შესახვევისთვის აფხაზეთის ომში დაღუპული მებრძოლის როსტომ ქობელაშვილის ქუჩის სახელის მინიჭების შესახებ

41. ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში, მესხეთის შესახვევისთვის, ყვარლის შესახვევისთვის და ყვარლის II ჩიხისთვის საზოგადო მოღვაწის კონსტანტინე სიდამონ-ერისთავის სახელის მინიჭების შესახებ

42. ქალაქ თბილისში, საბურთალოს რაიონში, თამაზ ძიძიგურის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის და მასთან არსებული ჩიხისთვის ენათმეცნიერის, აკადემიკოს ალექსანდრე ღლონტის სახელის მინიჭების შესახებ

43. ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში, ბეთანიაში, თამარ მეფის ქუჩასთან მდებარე უსახელო

44. ქუჩისთვის მეფე გიორგი III-ის სახელის მინიჭების შესახებ

45. „ქ. თბილისში, სამგორის რაიონში, შალვა დოლიძის ქუჩის გაგრძელების შესახებ“ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 10 ივლისის #198 განკარგულებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების შესახებ

46. ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში, ვარკეთილის მე-4 მ/რაიონში, მე-3 კვარტალში არსებული უსახელო სკვერისთვის აფხაზეთის ომში დაღუპული მებრძოლების გიორგი გოგალაძის, დავით გრიგოლიას და გოჩა პატარიძის სახელის მინიჭების შესახებ

47. ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, ქინძმარაულის ქუჩის შესახვევის მონაკვეთისთვის პოეტისა და მთარგმნელის გიორგი ბესთაუთის ქუჩის სახელის მინიჭების შესახებ

48. ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში, ნავთლუღის დასახლების I შესახვევისთვის, ნავთლუღის დასახლების II შესახვევისთვის და ერთი გასასვლელისთვის ფსიქიატრის, აკადემიკოს ბიძინა ნანეიშვილის სახელის მინიჭების შესახებ

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიაში 2019 წლის ნოემბრიდან 2020 წლის ოქტომბრის ჩათვლით შემოვიდა 400-მდე განცხადება, ხსენებული განცხადებების უმრავლესობაზე კომისიის მიერ მოხდა შესაბამისი რეაგირება, ხოლო ნაწილზე კვლავ მიმდინარეობს ადმინისტრაციული საქმისწარმოების პროცესი. კომისიის გადაწყვეტილებით საქმისწარმოების პროცესში ჩაეშვა ყველა ის მოთხოვნა, რომლებიც დაინტერესებული მხარეების მიერ მოწოდებული იქნა სატელეფონო კომუნიკაციის, სოციალური ქსელის და ელექტრონული ფოსტის მეშვეობით.

კომისიის საქმიანობა ახალი კორონავირუსის ფონზე არსებული რეგულაციების პირობებში

როგორც აღვნიშნეთ, სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია იყო ერთ-ერთი პირველი, რომელმაც საჯარო განხილვის პროცესი დისტანციურად ჩაატარა.

კომისიის მიერ, ვირუსის გავრცელების პირველივე ეტაპზე ეფექტურობის და ეფექტიანობის არსებული ტემპის შენარჩუნების მიზნით მიღებული იქნა შესაბამისი გადაწყვეტილებები, დისტანციურ რეჟიმზე გადასვლის პირობებში მოქალაქეებს შესაძლებლობა ქონდათ პირდაპირი სატელეფონო კომუნიკაცია ჰქონოდათ როგორც კომისიის თავმჯდომარესთან, ასევე კომისიის სამდივნოს უფროსთან, აქტიურად ხდებოდა სოციალური ქსელის და ელექტრონული ფოსტის მეშვეობით დაკავშირება, ტრადიციულად თუ მხარეს განცხადების დასარეგისტრირებლად საკრებულოში უწევს მისვლა დღეს მათ აქვთ შესაძლებლობა სახლიდან გაუსვლელად, სოციალური ქსელის და ელექტრონული ფოსტის მეშვეობით დააფიქსირონ მოთხოვნა და კომისია ახორციელებს სრულ ადმინისტრაციულ წარმოებას. საგანგებო მდგომარეობის ეტაპზე კომისია და სამდივნო აქტიურად იყო ჩართული საკრებულოს მიერ ორგანიზებულ პროექტებში სხვადასხვა სოციალური ჯგუფებისთვის საჭირო პროდუქტებისა და პირველადი მოხმარების ნივთების დარიგებასთან დაკავშირებით. მიუხედავად იმისა, რომ მნიშვნელოვნად მოხდა თავდაპირვბელი გეგმების კორექტირება და მასშტაბური ღონისძიებები არ ჩატარებულა დისტანციისა და სრული ნორმების დაცვით აქტიურად გრძელდება რიგი ღონისძიებები.

ოფიციალური შეხვედრების შესახებ

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში გეოგრაფიული ობიექტების სახელდების და ქვეყნებს შორის თანამშრომლობის საკითხებზე შეხვედრები გაიმართა ესტონეთის, ისრაელის, ბულგარეთის და ყაზახეტის ოფიციალურ წარმომადგენლებთან.

მოქალაქეებთან შეხვედრების შესახებ

ქუჩათა ქსელების შესწავლის, საკითხების ადგილზე განხილვის, მოქალაქეთა მოთხოვნის შემთხვევაში სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია აქტიურად ახორციელებს მოქალაქეებთან შეხვედრებს, საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ათობით ასეთი შეხვედრა გაიმართა.

მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები

- სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის ინიციატივის საფუძველზე თბილისის 2020 წლის ბიუჯეტში გათვალისწინებული იქნა თანხები თბილისში პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას მემორიალის და საკრებულოს სხდომათა დარბაზში დიმიტრი ყიფიანის ბიუსტის დადგმასთან დაკავშირებით. მ/წლის განმავლობაში მერიის შესაბამისი სამსახურის მიერ მემორიალური ობიექტების დიზაინის შერჩევის მიზნით უკვე გამოცხადდა შესაბამისი კონკურსი და უახლოეს პერიოდში დაიწყება ობიექტების დამზადების სამუშაოები.

- კომპოზიტორ გია ყანჩელის გარდაცვალების შემდეგ სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიამ დაანონსა, რომ თბილისშ ერთ-ერთ გეოგრაფიულ ობიექტს მისი სახელი მიენიჭებოდა. აქტიური მსჯელობის საჯარო განხილვების და ობიექტის შერჩევის შემდეგ საკრებულომ დავით აღმაშენებლის გამზირზე მდებარე არტოს ბაღს გია ყანჩელის სახელი მიანიჭა

ჩატარებული ღონისძიებების შესახებ

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის მიერ დამკვიდრებული პრაქტიკის შესაბამისად 2020 წლის ღონისძიებები 14 იანვარს, სახელმწიფო დროშის დღის აღნიშვნით და საკრებულოს შენობის აივნებიდან დროშების გადმოფენით დაიწყო.

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ორგანიზებით დამისამართების საკითხებზე კომფერენცია გაიმართა, მონაწილე მხარეებმს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის წარმომადგენლებმა წარმატებული პროექტების შესახებ გამოცდილება გაუზიარეს

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის ორგანიზებით ჰოლოკოსტის 75-ე წლისთავთან დაკავშირებით ღონისძიება გაიმართა, დამსწრე საზოგადოებას ეცნობა, რომ თბილისში მოეწყობა სივრცე ჰოლოკოსტის მსხვერპლთა სახელების უკვდავსაყოფად.

ჩუღურეთის რაიონში არჩილ ბეთანელის სახელობის ქუჩა გაიხსნა

ავჭალის დასახლებაში საქართველო ტერიტორიული მთლიანობისთვის ბრძოლაში დაღუპული ბახვა გოგოლაძის სკვერი გაიხსნა

ვარკეთილში ვახტანგ და ბადრი გზირიშვილების სახელობის ქუჩა გაიხსნა

ნაძალადევის რაიონში ბაბუშერაში დაღუპული ძმები წიკლაურების სახელობის სკვერი გაიხსნა

ვაკის რაიონში კოკა კლდიაშვილის სახელობის სკვერი გაიხსნა

კრწანისის რაიონში საზოგადო მოღვაწის, წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წევრის გრიგოლ ვოლსკის ქუჩა გაიხსნა

ორხევში ფეხბურთელ ვატანგ ფანგანის სახელობის მოედანი გაიხსნა

სამისამართე აბრების განთავსების პროცესის მიმდინარეობა

მ/წლის განმავლობაში მერიის შესაბამისი სამსახურის მიერ ჩვეული ტემპით მიმდინარეობს სამისამართე აბრების განთავსების პროცესი, მასში აქტიურადაა ჩართული სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია. დღეის მდგომარეობით დაახლოებით 13 000 მისამართზე განხორციელდა აბრის მონტაჟი.